ხელშეკრულება

ქ.თბილისი 09.12.2020 წ.

ერთის მხრივ შპს პიანის დირექტორის ალექსანდრე ბერძნიშვილის – შემდგომში წოდებული, როგორც დამკვეთი და მეორეს მხრივ შპს ,,მებაღეს" დირექტორი ბექა ბერძენიშვილი როგორც შემსრულებელი შევთანხმდით შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1. ქ. თბილისში ქავთარაძის ქუჩა 26 ში საკადასტრო ტერიტორია 01.14.03.040.353 დიდტანოვანი მერქნიანი მცენარის იფნის გადარგვა. მწვანე ნარგავი აღწერიალია დამოუკიდებელ ექპერტ ბექა ბერძენიშვილის მიერ 25.09.2020 მომზადებულ საექპერტო დასკვნაში N11 ნომრად.

2. გადარგვა მოხდება სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით, გამოყენებული იქნება ყველა ის მეთოდოლოგია და ტექნიკა რაც მითითებული იქნება უფლებამოსილი პირის მიერ შეგენილ გადარგვის მეთოდოლოგიების დოკუმენტში.

3. გადარგვა მოხდება დამკვეთის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

4. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი:

შპს პეანი

ს/კ 204892802

დირექტორი: ალექსანდრე ბერძენიშვილი

შემსრულებელი:

შპს მებაღე

ს/კ 405382205

ბანკის კოდი TBGBGE22

GE57TB7058636080100018

დირექტორი: ბექა ბერძენიშვილი

პ/ნ 01008047184

დიდი ზომის (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

თარიღი: 10.12.2020

მისამართი: ქ. თბილისი პეტრე ქავთარაძისN26

საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.353

დამკვეთი: შპს ''პეანი''

საიდენთიფიკაციო ნომერი: 204892802

გადასარგავი მწვანე ნარგავის საერთო რაოდენობა: 1

გადარგვის პროექტი მომზადდა დამოუკიდებელ ექპერტის ბექა ბერძენიშვილის მიერ 25.09.2020 გაკეთებულ საექპერტო დასკვნის მიხედვით.

N11 ჩვეულებრივი იფანი - D 45 სიმაღლე 7 მეტრი

N11 ჩვეულებრივი იფანი Fraxinus excelsior

დასარგავი ორმოს და ნიადაგის მომზადება

ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს ორმოს მოზადება რომლის მოცულობა იქნება აღნიშნულ ხის დიამეტრის მიხედვით, აღნიშნული მცენარე არის 45სმ დიამეტრის შესაბამისად ორმოს მოცულობა უნდა იყოს 3 მეტრის სიღრმე 2 ვინაიდან ჩვეულებრივი იფანი მოითხოს ნეიტრალურ ნიადაგს (წყარო:https://pfaf.org/user/Plant.aspx) ამიტომ საჭიროა ორმოში ტორფნარები მიწის შეტანა, რომლის ფსკერიც და კედლებიც უნდა დაიფაროს 1 სმ სისქით. ნიადაგი გარშემო 1,5 მეტრის რადიუსით უნდა გასუფთავდეს სარეველა ბალახისგან, ქვებისგან სამშენებლო ნარჩენებისგან

ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოხვნას და გადაიფარცხოს.

მცენარის გადარგვა

ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ადგილის გადაზომვა ხის ღეროდან 1,70 სმ ისე რომ მთლიანი კომი გამოვიდეს 3,40 სმ. გარშემო უნდა გაკეთდეს ტრანშე და მოხდეს მცენარის ამოღება განსაკუთრებული სიფრთხილით, გადარგვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური ტექნიკა რომელიც შეძლებს აღნიშნული სამუშაოს შესრულებას. შემხვედრი ფესვების ჩაჭრა უნდა მოხდეს მავთულით ან თხელი ბასრი ლითონის საგნით, რადგან არ მოხდეს ფესვების გადატეხვა ამოღების დროს სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოხდება ფესვების ნაკლები დაზიანება. მცენარე მიწიდან უნდა ამოვიდეს კომის დაუშლელად, ამიტომ კომი უნდა შეიხვიოს ჭილოფის დიდ ნაჭერში მჭიდროდ, რადგან გადატანისას არ მოხდეს კომის დაშლა. ფესვის ყელიდან 2.5 მეტრის სიმაღლეზე უნდა მოხდეს მცენარის დაფიქსირება, რადგან არ მოხდეს მცენარის წაქცევა. მცენარეს ორმოში ჩასმამდე უნდა მოხდეს ჭილოფის მოხსნა და განსკაუთრებული სიფრთხილით მოხდეს დასარგავ ადგილზე დაფიქსირება, ორმოსა კედლებსა და კომს შორის არსებული სივრცე უნდა შეივსოს ტორფიანი ნიადაგით, ამის შემდეგ უნდა მოხდეს მიწის შემოყრა დატკეპნა და სარწყავი ჯამის გაკეთება. მცენარე უნდა დაფიწსირდეს გარშემო 3 სოლით და თოკის გამოყენებით, 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს ინტენსიური მორწყვა დილა-საღამოს 3 თვის შემდეგ დღეგამოშვებით 1 თვის განმავლობაში.

დარგვის შემდგომი პერიოდის მოვლითი სამუშაოები

მცენარის განსაკუთრებული მოვლა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, რაც მცენარის ახალი გარემოს შეგუების პერიოდია.

მცენარის ვეგეტაციის პერიოდში (აპრილის შუა რიცხვიდან ნოემბრის ჩათვლით) მცენარე უნდა მოირწყოს მშრალ ამინდებში, საშუალო ტემპერატურის მიხედვით: 22^0დან -30^0მდე ყოველ მე3 ან მე4 დღეს (ნიადაგის ტენიანობის მიხედვით) 30^0დან 35^0მდე დღეგამოშვებით, ხოლო 35^0 ზე ზევით ყოველდღე. (წყაროhttp://www.treegator.com/watering/index)

რეკომენდირებულია დამონტაჟდეს სარწყავი სისტემა, რომელსაც ექნება მარეგულირებელი და დაყენდება ზომოთ აღნიშნულ მორწყვით სტანდარტზე.

პერიოდულად უნდა მოხდეს შემხმარი ტოტების მოცილება, ვეგეტაციის პერიოდში მოხდეს მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ პროფილქტიკური შეწამვლა მცენარეთა დამცველის რეკომენდაციის მიხედვით. (რეკომენდირებულია მოხდეს ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა, თუ გარემო

პირობები ამის საშუალებას იძლევა, სხვა შემთხვევაში მოხდეს ქიმიური პესტიციდების შესხურება, მათი გამოყენების წესების სრული დაცვით.)

დარგვიდან მეორე სავეგეტაციო პერიოდში მოხდეს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა კომეტენტური პირის (მაგ.აგროქიმიკოსის) რეკომენდაციით.

მცენარის გახმობის ან დაზიანების შემთხვევაში მისი ჩანაცვლება უნდა მოხდეს დადგენილი კანონის მიხედვით.

დამოუკიდებელი ექსპერტი: ხელმოწერა:
ბექა ბერძენიშვილი

საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

წერილის ნომერი: **65-01203231279**
თარიღი: **18/11/2020**
პინი: **0602**

ადრესატი: შპს პეანი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204892802
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქავთარაძის ქ., №28

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

შპს ,,პეანის'' დირექტორს
ალექსანდრე ბერძენიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 2020 წლის 9 ნოემბრის # 10/01203141336-65 განცხადების პასუხად გიგზავნით ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. #30 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.278) მდებარე საექსპერტო ობიექტის შესწავლის შედეგებს (იხ. დანართი).

თამაზ დარჩიძე

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. #30 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.278) მდებარე მწვანე ნარგავების შესწავლის შედეგები

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ექსპერტის ქეთევან თავართქილაძის მიერ შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. #30 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.278) მდებარე 2 ერთეული მწვანე ნარგავის მდგომარეობა.

9 ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica - დაავადებული

ეგზემლარი წვერხმელია. ვარჯში წიწვების, გირჩების და ღეროების 80 % ხმელია. ხოლო დანარჩენ წიწვებს დაწყებული აქვს სიყვითლე და ფიქსირდება პიკნიდიუმები შავი წერტილების სახით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პათოგენი სოკო - Lophodermium pinastri და Sphaeropsis sapinea, რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. მთავარი ღეროზე მცირე რაოდენობით დაფიქსირდა მავნებლის - ქერქიჭამიას სასვლელები და ფისოვანი გამონადენი.

რეკომენდაციები: შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების და მავნებლის ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.

#10 ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica - დაავადებული

ეგზემლარს დაწყებული აქვს წვერხმელობა. ვარჯში ფიქსირდება წიწვების სიყვითლე და ხმელი ტოტები. წიწვები დაინფიცირებულია სოკოს ნაყოფსხეულებით შავი პიკნიდიუმებით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პათოგენი სოკო - Lophodermium pinastri და Sphaeropsis sapinea, რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. ტოტებზე დაფიქსირდა პათოგენი სოკო - Cytospora sp. რომელიც დროთა განმავლობაში გამოიწვევს ტოტების ხმობას.

რეკომენდაციები: შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
მერქნიან მცენარეთა კოლექციების
განყოფილების მცენარეთა დაცვის
ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის
მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ქეთევან თავართქილაძე

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების

საექსპერტო დასკვნა

ბექა ბერძენიშვილი
555 967 200
beqa_berdzenishvili@yahoo.com

25.09.2020
დასკვნის მომზადების თარიღი

დამკვეთი	შპს ''პეანი''

ID: 204892802

.

ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი პეტრე ქავთარაძისN30	01.14.03.040.278

ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება

ობიექტი წარმოადგენს არასასოფლო სამეურნეო ტიპის მიწის ნაკვეთს, მცენარეების აღწერა მოხდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალური დათვალიერებით, სახეობების დადგენა მოხდა მსოფლიო ფლორებიზე მიხედვით

ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	დიამეტრი (1,3 მ-ზე)	დიამეტრი (0,1 მ-ზე)	სიმაღლე (მ)	ასაკი*	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	Cedrus deodara კედარი	ხე		67.0	12		ჯანსაღი	
2	Prunus cerasus ალუბალი	ხე		10.0	7		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
3	Juglans regia კაკალი	ხე		14.0	4		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
4	Malus ვაშლი	ხე		10.0	4		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
5	Cedrus deodara კედარი	ხე		70.0	12		ჯანსაღი	
6	Prunus armeniaca ჭერამი	ხე		90.0	5		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
7	Platanus orientalis ჭადარი	ხე		90.0	12		ჯანსაღი	
8	Platanus orientalis ჭადარი	ხე		60.0	11		ჯანსაღი	სუროთი დაფარული
9	Pinus eldarica ელდარის ფიჭვი	ხე		54.0	12		დაავადებული	
10	Pinus eldarica ელდარის ფიჭვი	ხე		80.0	12		დაავადებული	

ობიექტის თაობაზე საერთო დასკვნა

საექსპერტო დასკვნაში აღწერილია 9 მწვანე ნარგავი.
გადარგვას ექმედებარება:
N3 კაკალი

ხილკენკროვან კატეგოდიას მიეკუთვნება :
N2 ალუბალი N4 ვაშლი

25 სმ მდე ღეროს დიამეტრის მქონე მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია:

გადარგვა, შესაძლებელია ჩატარდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში (მარტის მეორე ნახევარი - აპრილი) შემოდგომით (ოქტომბერი - ნოემბრის პირველი ნახევარი), ალტერნატიულ ადგილზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით (გადასარგავი მცენარის დიამეტიდან გამომდინარე შესაბამისი სიღრმის ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ მომზადებულ ორმოში, საჭიროების შემთხვევაში მცენარის გასხვლა - ფორმირება, სარწყავი ჯამის გაკეთება, დარგვის შემდეგ მცენარის ინტენსიური მორწყვა).
25 სმ ზე მეტი ღეროს დიამეტრი მქონე მერქნიანი მცენარის გადარგვისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით უფლება მისილი პირის მიერ შედგენილი რეგლამენტის საფუძველზე გადაირგოს მწვანე ნარგავი.

დამოუკიდებელი ექსპერტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის18.01.2019 წლის N1-07 ბრძანების
საფუძველზე დამტკიცებული მწვანე ნარგავებზე
ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემის
უფლებამოსილი პირი

ბექა ბერძენიშვილი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების

საექსპერტო დასკვნა

ბექა ბერძენიშვილი
555 967 200
beqa_berdzenishvili@yahoo.com

25.09.2020
დასკვნის მომზადების თარიღი

დამკვეთი	შპს ''დიაბეტი''

ID: 204888791

ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი პეტრე ქავთარაძისN26	01.14.03.040.353

ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება

ობიექტი წარმოადგენს არასასოფლო სამეურნეო ტიპის მიწის ნაკვეთს, მცენარეების აღწერა მოხდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალური დათვალიერებით, სახეობების დადგენა მოხდა მსოფლიო ფლორებიზე მიხედვით

ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	დიამეტრი (1,3 მ-ზე)	დიამეტრი (0,1 მ-ზე)	ასაკი*	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	Cedrus deodara კედარი	ხე		72.0		ჯანსაღი	
2	Rosa ვარდი	ხე		3.0		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
3	Neirum oleander ოლეანდრა	ხე		4.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
4	Rosa ვარდი	ხე		3.0		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
5	Buxus semopervirens ბზა	ხე		2.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
6	Buxus semopervirens ბზა	ხე		3.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
7	Buxus semopervirens ბზა	ხე		3.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
8	Laurus nobilis დაფნა	ხე		4.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
9	Rosa ვარდი	ბუჩქი		3.0		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
10	Rosa ვარდი	ბუჩქი		3.0		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
11	Fraxinus excelsior იფანი	ხე		45.0		ჯანსაღი	
12	Laurus nobilis დაფნა	ხე		6.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

13	Ligustrum japonica იაპონური კვიდო	ბუჩქი		2.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
14	Ligustrum japonica იაპონური კვიდო	ბუჩქი		5.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
15	Ligustrum japonica იაპონური კვიდო	ბუჩქი		4.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
16	Ligustrum japonica იაპონური კვიდო	ბუჩქი		4.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
17	Ligustrum japonica იაპონური კვიდო	ბუჩქი		4.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
18	Ligustrum japonica იაპონური კვიდო	ბუჩქი		4.0		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ობიექტის თაობაზე საერთო დასკვნა

საექსპერტო დასკვნაში აღწერილია 18 მწვანე ნარგავი.
გადარგვას ექმედებარება:
N3 ოლეანდრა N (5-6-7) ბზა N (8-12) დაფნა N(13დან - 18 ჩათვლით) კვიდო

ხილკენკროვან კატეგოდიას მიეკუთვნება :
N2 ალუბალი N4 ვაშლი
საკადასტრო ტერიტორიის საზღვარზე დარგულია იაპონური კვიდო.
25 სმ მდე ღეროს დიამეტრის მქონე მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია:
გადარგვა, შესაძლებელია ჩატარდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში (მარტის მეორე ნახევარი - აპრილი) შემოდგომით (ოქტომბერი - ნოემბრის პირველი ნახევარი), ალტერნატიულ ადგილზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით (გადასარგავი მცენარის დიამეტიდან გამომდინარე შესაბამისი სიღრმის ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ მომზადებულ ორმოში, საჭიროების შემთხვევაში მცენარის გასხვლა - ფორმირება, სარწყავი ჯამის გაკეთება, დარგვის შემდეგ მცენარის ინტენსიური მორწყვა).
25 სმ ზე მეტი ღეროს დიამეტრი მქონე მერქნიანი მცენარის გადარგვისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით უფლება მისილი პირის მიერ შედგენილი რეგლამენტის საფუძველზე გადაირგოს მწვანე ნარგავი.

დამოუკიდებელი ექსპერტი



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერის18.01.2019
წლის N1-07 ბრძანების
საფუძველზე დამტკიცებული მწვანე
ნარგავებზე ხარისხობრივ
შეფასებაზე დასკვნის გამცემის
უფლებამოსილი პირი

ბექა ბერძენიშვილი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების

საექსპერტო დასკვნა

ბექა ბერძენიშვილი
555 967 200
beqa_berdzenishvili@yahoo.com

25.09.2020
დასკვნის მომზადების თარიღი

დამკვეთი	შპს ''ბანი 2007''

ID: 206316388

ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი პეტრე ქავთარაძისN26	01.14.03.040.354

ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება

ობიექტი წარმოადგენს არასასოფლო სამეურნეო ტიპის მიწის ნაკვეთს, მცენარეების აღწერა მოხდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალური დათვალიერებით, სახეობების დადგენა მოხდა მსოფლიო ფლორებიზე მიხედვით

ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	დიამეტრი (1,3 მ-ზე)	დიამეტრი (0,1 მ-ზე)	ასაკი*	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	Pinus edarica ელდარის ფიჭვი	ხე		52.0		ხმობადი	
2	Pinus edarica ელდარის ფიჭვი	ხე		69.0		დაავადებული	ხილკენკროვანი
3	Pinus edarica ელდარის ფიჭვი	ხე		64.0		დაავადებული	ექვემდებარება გადარგვას
4	Pinus edarica ელდარის ფიჭვი	ხე		52.0		დაავადებული	ხილკენკროვანი
5	Pinus edarica ელდარის ფიჭვი	ხე		54.0		ზეხმელი	ექვემდებარება გადარგვას

ობიექტის თაობაზე საერთო დასკვნა

საექპერტო დასკვნაში აღწერილია5 მწვანე ნარგავი.
N1 ხმობადი ფიჭვი N2 N3 N4 დაავადებული ფიჭვი N5 ზეხმელი ფიშვი

დამოუკიდებელი ექსპერტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის18.01.2019 წლის N1-07 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული მწვანე ნარგავებზე ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემის უფლებამოსილი პირი



ბექა ბერძენიშვილი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების

საექსპერტო დასკვნა

ბექა ბერძენიშვილი
555 967 200
beqa_berdzenishvili@yahoo.com

25.09.2020
დასკვნის მომზადების თარიღი

დამკვეთი	შპს ''პეანი''

ID: 204892802

.

ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი პეტრე ქავთარაძის I N5	01.14.03.040.393

ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება
ობიექტი წარმოადგენს არასასოფლო სამეურნეო ტიპის მიწის ნაკვეთს, მცენარეების აღწერა მოხდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალური დათვალიერებით, სახეობების დადგენა მოხდა მსოფლიო ფლორებიზე მიხედვით

ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	დიამეტრი (1,3 მ-ზე)	დიამეტრი (0,1 მ-ზე)	სიმაღლე (მ)	ასაკი*	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	Prunus ბალი	ხე		32.0	4		ჯანსაღი	ხილკენკროვანი

ობიექტის თაობაზე საერთო დასკვნა

საექპერტო დასკვნაში აღწერილია 1 მწვანე ნარგავი.
ბალი მიეკუთვნება ხილკენკროვნების კატეგორიას

დამოუკიდებელი ექსპერტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის18.01.2019 წლის N1-07 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული მწვანე ნარგავებზე ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემის უფლებამოსილი პირი

ბექა ბერძენიშვილი



პირობითი აღნიშვნები

WGS 84 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

- ბეტონის ღობე
- მავთულბადის ღობე
- გაზი
- წყალი
- ნაყარი მიწა
- ჩამოჭრილი გრუნტი
- კონტურული ხაზი
- ქარსაცავი ზოლი
- ბუჩქების მწკრივი
- მიწის ნაკვეთის საზღვარი
- ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური
- ხეები, პალმა, ბუჩქი
- ბოძები
- განათების ელ. ბოძი
- ონკანი, სათვალთვალო ჭა
- ანძა, ანტენა

დირექტორი	ბ. ბერძენიშვილი
აზომა	გ. ენუქიძე
შეადგინა	ნ.სამაკაშვილი
მ 1:500	2017წ.

B&G BUSINESS GROUP
405233242
"B&G BUSINESS GROUP" LTD























10


ZUZ-785

Nissan
www.nissan.com
EN-154-MN














































NV-
572-NV







წერილის ნომერი: **18-01203601377**
თარიღი: **25/12/2020**
პინი: **9746**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 14 დეკემბრის #60-01203492921 წერილი და AR1754126 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე ალექსანდრე ბერძენიშვილის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე (ქალაქ თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა #26/28/30 ს.კ. #01.14.03.040.353; #01.14.03.040.004; #01.14.03.040.278; პეტრე ქავთარაძის I შესახვევი #5 #01.14.03.040.393) (სსზ-2; სსზ) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (საექსპერტო დასკვნები, ტოპო. გეგმა, ფოტოსურათები, გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია) ტერიტორიებზე ჯამში ფიქსირდება 34 ძირი მწვანე ნარგავი. **დაინტერესებული პირი ითხოვს #01.14.03.040.278 მიწის ნაკვეთზე 2 ძირი დაავადებული ფიჭვის მოჭრისა და #01.14.03.040.353 მიწის ნაკვეთზე 5 ძირი ხის გადარგვის ნებართვას.**

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის დაავადებული, ზესმელი, ხმობადი, ფაუტი და ავარიული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით **სამსახური თანახმაა გასცეს #01.14.03.040.278 მიწის ნაკვეთზე არსებული 2 (ორი) ძირი ხმობადი, დაავადებული ელდარის ფიჭვის (#9-D54.0სმ, #10-D80.0სმ ხეები ექსპერტ ქეთევან თავართქილაძის განმარტებით განკურნებას არ ექვემდებარება) მოჭრის ნებართვა მას შემდეგ,** როდესაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ (ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება).

დადგენილების 26^1-ე მუხლის საფუძველზე, გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში იმავე ტერიტორიაზე **ორი ძირი ფოთლოვანი ან წიწვოვანი ხის დარგვა (წიწვოვანის შემთხვევაში არანაკლებ 3.0 მ სიმაღლის, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში არანაკლებ 3.5მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სმ).** საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება, #01.14.03.040.353 მიწის ნაკვეთზე არსებული გადასარგავად მოთხოვნილი 5 ძირი მწვანე ნარგავის (1 ძირი იფანი #11-45.0სმ, 4 ძირი იაპონური კვიდო #15, #16, #17, #18 დიამეტრებით 4.0სმ) საკითხს, ვინაიდან ნარგავები განთავსებულია საპროექტო არეალში, აფერხებს სამშენებლო სამუშაოებს და მათი გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ (წარმოდგენილია დიდტანოვანი ხის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი თანხმობა გადარგვის მომსახურების შესახებ), სამსახური თანახმაა დადგენილების მე-2 თავის 21-ე, 21^1-ე და 21^2-

ე მუხლების შესაბამისად გასცეს 1 ძირი იფანის და 4 ძირი კვიდოს იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას და წარმოადგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე საღი ხეების (მოსაჭრელი 2 ძირი ფიჭვის, გადასარგავი 1 ძირი იფანის, 4 ძირი კვიდოს, ასევე ხილ-კენკროვნების გარდა) არსებული სახით შენარჩუნების ვალდებულებით.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და დადგენილების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს **15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას.**

ასევე, გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვისა).**

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-**10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.**

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

